საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ფასი 2 მანეთი

ოთხშაბათი, 22 ოქტომბერი 1919 წ. № 181.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვეული ორეული

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 50 მან. 3 თვით 130 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 2 მ. უკანასკნელზე 1 მ. 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 50 მ., 12 საათის შემდეგ 70 მ.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის სახლი. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

ცანსავარჯიშო საზოგადოება „შეჯარდენი“

[illegible] აცხადებს, წევრების საყურადღებოთ, რომ 27 ოქტომბერს იწყება ტან-ვარჯიშობაში მეცადინეობა, რისთვისაც საზოგადოების წევრნი (ქალები) უნდა შეიკრიბონ 27 ამა ოქტომბერს ნაშუადღევის 5 საათზედ [illegible]თა წმინდა ნინოს გიმნაზიის შენობაში, ვაჟები კი 28 ოქტომბერს [illegible]ადღევის 5 საათისათვის ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში. ზემო აღნიშნულ დღეებს მოხდება მოვარჯიშეთა ჯგუფებათ დაყოფა.

შემდეგისათვის ტან-ვარჯიშობა იწარმოებს:

ორივე სქესის ბავშთა განყოფილების: სამშაბათობით და პარასკევ[illegible]ით 5 საათიდგან 6 საათამდე. (ვაჟთა 1 გიმნ. შენობაში).

ვაჟთა განყოფილების: სამშაბათობით და პარასკევობით 6 ნახევარ [illegible]ათიდგან 8 საათამდე. (ვაჟთა 1 გიმნ. შენობაში).

ქალთა განყოფილების: ორშაბათობით და ხუთშაბათობით 5 საა[illegible]ოდგან 6 ნახევარ საათამდე. (ქალთა წმ. ნინოს გიმნაზ. შენობაში).

[illegible]ად ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე 9 საათიდგან 2 საათამდე, სამ[illegible]ველო ბანკში ბ-ნ **ვ. ხვანიძესთან** (წმინ. ნინოს გიმნაზიის პირდაპირ.

საზოგადოების თავმჯდომარეს ამხანაგი **ა. ჩხენკელი.**

ვარჯიშთავი დ. ჯავრიშვილი.

[illegible]ვლეთ-საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის **მოსწავლე ახალგაზდების ორგანიზაციებს.**

[illegible]ქტომბერს, კვირას დილის 10 საათზე, **რეალურ სასწავლებ[illegible]დარბაზში** შესდგება ახალგაზდების ორგანიზაციების წარმომადგენ[illegible]ლების (სტუდენტების და მოწაფეების)

ყრილობა

წესრიგი:

1. **პროგრამულ საკითხებზე:** მომხსენებლად გამოვლენ ბ-ნი: **ვა[illegible]ნ წერეთელი, ალექსანდრე თორაძე** და **ტიტე მარგველაშვილი.**
2. საორგანიზაციო საკითხები: მომხსენებელნი ადგილობრივი ორ[illegible]ზაციებიდან: პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურა. პარტიული [illegible]ერატურა და სხვ.

[illegible]დასასრულ მოხდება არჩევნები დ. ს. ერ. დემ. პარტიის მოსწავლე [illegible]ახზდების კომიტეტისა და საკანტროლო კომისიისა.

[illegible]ყრილობის შემადგენლობა: ზესტაფონის, ჭიათურის, საჩხერის, ხა[illegible]ულის, სამტრედიის, ხონის, სენაკის, ზუგდიდის, ლანჩ-ჭაგანის, აბა[illegible]ფოთის, ოზურგეთის, ჯიხაიშის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, და ბა[illegible]ს ორგანიზაციები.

[illegible]შვნა: 1. ქ. ქუთაისის ორგანიზაციის წევრებს ყველას შეუძლია და[illegible]ესწროს.

2. პროვინციელი ორგანიზაციები აგზავნიან შეძლების დაგვარად.

3. მანდატის მიღება შეიძლება „ჩვენი ქვეყნი“-ს რედაქციაში:

ყრილობის მომწვევი კომისია.

[illegible]ბ. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე არდიშვილი

[illegible]ებს ავათმყოფებს: შინაგან, ბავ[illegible]ს ქირურგიულ ნაწილებშიდ [illegible]ამა წიფობისთვიდგან დილის [illegible]12 საათამდის ნაფიცი ვექილის [illegible]ამ ალექსანდრეს ძის არდიშვი[illegible]ბინაში, ლევაშოვის ქუჩაზედ. 5—1

დაკარგე პასპორტი და სამხედრო ბეგარისგან განთავისუფლების ქაღალდი მოცემული ქ. გორის სამხედრო სამართველოს მიერ თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში და ფული ოთხასი მანეთი პორტმანით. პასპორტს და გათავისუფლების ბილეთს გაუქმებულათ ვცნობ. შამუილ ნეთანელოვის ძე ზიზოვი. 1—1

[illegible]ვნულ-დემოკრატიული [illegible]ბაქციის წინადადება.

[illegible]ოვნ.-დემოკრატიულ ფრაქციას [illegible]ეძნებელ კრებაში წინადადება [illegible]ანია, რათა მიღებულ იქნეს შემდეგი დადგენილება: დაევალოს საკონსტიტუციო კომისიას წარმოადგინოს კონსტიტუციის სრული კანონპროექტი ერთი თვის განმავლობაში...

ამ წინადადებას ფრაქცია მით ასაბუთებს, რომ, იმისდამიუხედავად, რომ დამფუძნებელი კრება 12 მარტს გაიხსნა და მაშასადამე უკვე შვიდ თვეს მუშაობს, კონსტიტუციის კანონპროექტი არ შემოსულა. ეს გარემოება კი სახიფათოა, ვინაიდან პარიზის კონფერენციის ყურადღებას მხოლოდ ის ქვეყანა იპყრობს, რომელშიც უფლებრივი მდგომარეობაა დამყარებული.

მართლაც! საქართველო დღეს, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ნახევრად კონსტიტუციური სახელმწიფოა...

მაგალითად, მინისტრთა თავმჯდომარე იმავე დროს რესპუბლიკის პრეზიდენტიც არის. ამგვარი წესი ისტორიას არ ახსოვს!

არის მხოლოდ ერთი საკანონმდებლო პალატა და არ არის ისეთი ორგანო, რომ ამ პალატის შემცდარი საკანონმდებლო ნაბიჯი შეაჩეროს, ე. ი. არ არის არც მეორე პალატა და არც რეფერენდუმი, ე. ი. ხალხის დაკითხვა.

უმნიშვნელოვანესი კანონები იშობებიან ისე, რომ ხალხს არა ჰკითხავენ!

ნუ თუ ეს არის დემოკრატიული წესწყობილება?

არ არის განსაზღვრული უფლება თვითმართველობისა და მთავრობის.

არ არის განსაზღვრული მოქალაქის საჯარო უფლება.

არ ვიცით, სად არის ადმინისტრაციის უფლების საზღვარი და რა ექვემდებარება და რა არა სასამართლოს.

რომელიმე მინისტრის მიერ გამოცემული დეკრეტი კანონად არის მიჩნეული.

მაგალითად, სატარიფო პალატის დადგენილება სავალდებულოა იმის და მიუხედავათ, რომ ეს დაწესებულება საკანონმდებლო გზით შექმნილი არ არის.

არ არის გამორკვეული მუშათა კავშირების უფლების საზღვარი.

მაგალითად ვინ მისცა რკინის გზის მოსამსახურეებს უფლება, აწარმოონ სამართალი და ადმინისტრატიული გამგეობა?!

ვინ მისცა ფოთის ნავსადგურის ანუ რკინის გზის სადგურების მუშათა კავშირებს უფლება არ მისცენ მუშაობის ნება იმ მუშებს, რომელნიც კავშირში არ არიან?!

ეს უფლება მათ რევოლიუციონური გზით მოიპოვეს, მაგრამ თვითეული ამგვარი უფლება საკანონმდებლო დაწესებულების მიერ განხილული და დამოწმებული ან უარყოფილი უნდა იქნეს.

ცხადია! თუ რომელიმე ჯგუფის უფლება საკანონმდებლო დაწესებულების მიერ აღსარებულ არ არის, — დროებითია, ე. ი. არა კანონიერი.

ადმინისტრაცია იჩემებს მოქალაქის გაუხამართლებლად დატუსაღების უფლებას. რასაკვირველია, ეს — არაკანონიერი უფლებაა.

სამინისტრომ დეკრეტით აღკრძალა მიწის გაყიდვა და ყიდვა, როგორც სოფელში, აგრეთვე ქალაქში.

ესეც ხომ არაკანონიერი აქტია.

მერე კიდევ: შეუძლებელია შეცვლელად დარჩეს სახალხო გვარდიის დებულება.

გვარდია არ უნდა ერეოდეს შინაური პოლიტიკაში.

მაშასადამე გვარდია არ უნდა იყოს პარტიული.

იმავე დროს გვარდია უნდა ემორჩილებოდეს სამხედრო მინისტრს.

უეჭველია: უფლებრივი მდგომარეობის შექმნას უდიდესი მნიშვნელობა ექნება არამარტო იმ მხრით, რომ მხოლოდ კანონიერებას, წესიერ კალაპოტში ჩაყენებულ სახელმწიფოებრივ-ეკონომიურ ცხოვრებას შეუძლია გვიხსნას კრიზისისაგან, არამედ იმ მხრითაც, რომ მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია მოვიპოოთ ანტანტის თანაგრძნობა და ყურადღება.

დიაღ! ეს — მეტად საჩქარო საქმეა და მისი დაგვიანება — დიდი დანაშაულია.

ვასილ წერეთელი.

უკანასკნელი ცნობები

კავკასიის მთიელთა მეჯლისის მიმართვა საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობისადმი.

კავკასიის მთიელთა მეჯლისმა შემდეგ განცხადებით მიმართა ადერბეიჯანის და საქართველოს მთავრობებს: „კავკასიის მთიელთა მეჯლისს არა ერთხელ მიუმართავს ადერბეიჯანის მთავრობისთვის და უთხოვნია დაეხმაროს მთიელებს, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ გენერალ დენიკინის ჯართან. ამ ბრძოლით მთიელთა ხალხი იცავს რა თავის დამოუკიდებლობას, მასთან ერთად იფარავს ამიერ-კავკასიის ხალხს მოხალისეთა ჯარების შემოსევისაგან და ამით უზრუნველყოფს ამიერ-კავკასიის ხალხებს მშვიდობიანი მუშაობა აწარმოონ თავის ნაციონალურ საჯელმწიფოთა გასამაგრებლათ. ყველა ჩვენი მიმართვა ამიერ-კავკასიის მთავრობებისადმი, რომ დაგვხმარებოდენ რუსეთის რეაქციონურ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში და აღმოეჩინათ ჩვენთვის ან ფულით ან ტეხნიკურ საშუალებებით დახმარება — ჯერ-ჯეროობით უნაყოფოდ დარჩა. ამ გვარათ, ჩვენ ალარ გვაქვს უფლება დაუმალოთ ჩვენ ხალხს, რომ ისინი მომავალშიაც დარჩებიან განმარტოებით უსწორო ბრძოლაში. მთიელთა მეჯლისი სთხოვს თქვენ აღმატებულებას სასწრაფოთ გადასცეთ ეს განცხადება თქვენ მთავრობას იმის განსახილველათ, თუ რა ფორმით და რა საშუალებით შეუძლიათ დაეხმარონ მთიელთა ხალხებს, რომლებიც თავიანთ ფიზიკური არსებობის, თუ არ არსებობის საკითხის წინაშე სდგანან“.

მეგობრული ხელშეკრულობა ყუბანის მთავრობასა და მთიელთა კავშირის რესპუბლიკის შორის.

ყუბანის დელეგაცია ერთის მხრივ და კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკა მეორეს მხრივ, გამოდიან რა იმ მტკიცე რწმენიდან, რომ კულტურული და ეკონომიური განვითარება კავკასიისა და ამ ქვეყნიურ სიმდიდრით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მეგობრული კავშირი იქნება კავკასიის სახელმწიფოებს შორის — ჩვენ ვსცანით საჭიროთ დავვედო ურთიერთ შორის შემდეგი ხელშეკრულება: 1) ყუბანის მთავრობა და მთიელთა რესპუბლიკა ამ აქტით აღიარებენ სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ყუბანის და კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკებისას. 2) ტერიტორიალური საზღვრების დამყარება ყუბანის და კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკებს შორის მოხდება მშვიდობიანი მოლაპარაკებით. 3) ორივე მხარე მოვალეა არ გადასდგან არც დამოუკიდებლათ და არც ამა თუ იმ ფორმით ისეთი ნაბიჯები, რომელნიც დაამცირებენ, როგორც ყუბანის, ისევე მთიელთა რესპუბლიკების სუვერენულ უფლებებს. 4) ჯარის ნაწილებს ზემოხსენებულ სახელმწიფოებისას შეუძლიათ გადავიდენ მოკავშირე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მხოლოდ უკანასკნელის ნებართვით. ჯარი მოკავშირისა ემორჩილება იმ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზედაც იმყოფება. 5) ვცნობთ რა სასურველათ ამ ორ ქვეყნის შორის დამყარდეს მტკიცე ეკონომიური ურთიერთობა, ყუბანის მთავრობა და მთიელთა რესპუბლიკები, ეალდებულნი არიან დამატებითი ხელშეკრულებით მოაგვარონ შემდეგი კითხვები: ა) საქონლის გაცვლა-გამოცვლა, საბაჟოების საკითხი, ბ) ტრანსპორტი (რკინის გზების, ნავსადგურების და გზა-ტკეცილების), გ) ფოსტა-ტელეგრაფის, დ) ფულის ტრიალი და სხვა.

ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს იმ წესით, რომელიც ორივე ქვეყნების კონსტიტუციებში არის. ეს ხელშეკრულება შედგენილია პარიზში ივლ. 1919 წ. დედანზე ხელი უწერიათ ყუბანის მხრით: ლ. ბიჩს — დელეგაციის თავმჯდომარეს, ვ. სავიცკის — დელეგაციის წევრს, ა. კულაბახოვს — დელეგაციის წევრს. მთიელთა რესპუბლიკების მხრივ: ა. ჩერმოეევს — დელეგაციის თავმჯდომარეს, ი. ჰაიდაროვს — დელეგაციის წევრს, ხ. ხაჯვაროვს — დელეგაციის წევრს, გ. ბამატს — საგარეო საქმეთა მინისტრს.

მოხ. სარდლობა და საქართველო.

გაზეთ „პონდელნიკის“ უკანასკნელ ნომერში შემდეგი ცნობაა: „პიატიგორსკიდან ახლად ჩამოსულმა საზოგადო მოღვაწემ პ. გ. თუმანოვმა, რომელსაც საუბარი ჰქონია იქ საზოგადო მოღვაწეებთან და მოხალისეთა წარმომადგენლებთან, შემდეგი გადმოგვცა. მიუხედავათ იმისა, რომ იქ დიდ აგიტაციას ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ მოხალისეთა პრესაში, მთავარმა სარდლობამ მტკიცეთ გადასწყვიტა, არავითარი აგრესიული ნაბიჯები არ გადასდგას საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ: თუ ვინიცობაა აიღეს მოსკოვი — განზრახულია მოიწვიონ დამფუძნებელი კრება, რომელიც გადასწყვეტს მომავალ მართველობის ფორმას და განაპირა მხარეების საკითხსაც. ჯერ-ჯერობით განაპირა კუთხეების შესახებ გაიმარჯვა ფედერატიულმა თვალსაზრისმა“.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

მისალმება მთავრობას დასავლეთ საქ. კოოპერატივთა საკრედიტო კავშირის დამფუძნებელმა კრებამ მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ერრდანიას შემდეგი შინაარსის დეპეში გაუგზავნა: დასავლეთ საქართველოს კოოპერატივთა საკრედიტო

დღიური.

იტალიაში ჩავიდა საქართველოს კომერციული მისია.

სპარსეთის აღერბეიჯანში, მთავრობის წინააღმდეგ აჯანყება მოხდა.

პეტროგრადის ფრონტზე თეთრ გვარდიელებმა ქ. გატჩინო აიღეს.

ბოლშევიკები აცხადებენ, რომ როძიანკო იუდენიჩი პეტროგრადს ვერ აიღებს. უკიდურეს შემთხვევაში ნანგრევებს იხილავენ წითელი სატახტო ქალაქის ადგილზეო.

კავშირის დამფუძნებელი კრება მხურვალე სალამს უძღვნის თქვენის სახით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას. დღევანდელს პირობებში დემოკრატიული მთავრობისა და საკოოპერაციო მოძრაობის ინტერესები ერთა: მოპოებულ უფლებათა დაცვა—განმტკიცება. კავშირის მთავარი მიზანია ხალხის საწარმოო ძალთა განვითარება და აღგზ მიცემაში სამართლიანობისა და პატიოსნების პრინციპების გატარება. კრება იმედოვნებს, რომ თქვენისა და თქვენი კაბინეტის წევრთა დახმარებით კავშირი შესძლებს ამ მიზნის განხორციელებას, გაუმარჯოს მთავრობისა და კოოპერაციის ხელი-ხელ ჩაკიდებულ მუშაობას ხალხის საკეთილდღეოთ.

კრების თავმჯდომარე **გაბილაია.**

✦ მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა აგრეთვე ფინანსთა მინისტრს კ. კანდელაკს:—დასავლეთ საქართველოს კოოპერატივთა საკრედიტო კავშირის დამფუძნებელი კრება გულითად მადლობას გიძღვნისთ მოსალმებისათვის და იმედოვნებს რომ თქვენის თანაგრძნობითა და დახმარებით კავშირი შესძლებს იმ როლის ასრულებას, რომელსაც მას აკისრებს საკოოპერაციო მოძრაობისა და ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესები.

კრების თავმჯდომარე **გაბილაია.**

✦ **ალგებრულ ამოცანათა კრებული.** გამოვიდა და იყიდება კ. მ კანდელაკის მიერ შედგენილი ალგებრულ ამოცანათა კრებული" ნაწილი II, წიგნი I. წიგნი შეიცავს 86 გვერდს და ღირს 18 მანეთად.

✦ **ქალაქის საბჭოში.** დღეს 22 ოქტომბერს ქალაქის მართველობის დარბაზში დანიშნულია ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა. გასარჩევია საყურადღებო საკითხები. მათ შორის, სანიტარული გადასახადების შემოღების საკითხიც.

✦ **ქუთაისის მაზრის** პირველი სასკოლო რაიონის ინსტრუქტორმა, შემოიარა თავისი რაიონი. ამ რაიონში გაიხსნა 5 ახალი სკოლა.

✦ **სალამოს კურსები.** ამ მოკლე ხანში ქ. ქუთაისში გაიხსნება მოზრდილთათვის სალამოს კურსები, სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ხელმძღვანელობით. ხსენებულ კურსებზე წაკითხული იქნება ლექციები შემდეგი საგნებიდან: **ქართული ლიტერატურა და საქართველოს ისტორია.**

✦ **ქურდობა.** 18 ოქტომბერს, ღამის 4 საათზე გელათის ქუჩაზე გაქურდეს დანიელ იაკობიშვილი. წაიღეს ვერცხლის და ოქროს ნივთები და პატარა ყუთი ვერცხლის ფულით სავსე, სულ 70000 მანეთად ღირებული. ამ ცნობის მიღებისთანავე ენერგიული ზომები მიიღო შუა უბნის კომისარმა თაყაიშვილმა. აღმოაჩინა სავსებით დაკარგული ნივთები და ქურდობისათვის დაპატიმრა: შიმყონ ცხვირაშვილი, დანიელ ჩიკვაშვილი. ორივე საგუბერნიო ციხეში მოათავსეს.

✦ **ექიმთა პროფესიონალურ კავშირში** 1 ნოემბერს, (ახალი სტილით) დანიშნულია ქუთაისის გუბერნიის ექიმთა პროფესიონალური კავშირის წლიური კრება. კრების საგანია: 1. მოხსენება კავშირის წლიური მოქმედების შესახებ, 2. ექიმები და ერობაში მათი სავალდებულო სამსახური, 3. ერობა და ექიმების უზრუნველყოფა, 4. ერობა, ექიმები და ფერშალთა საკითხი, 5 ჩვენ და პროფესიონალური ეთიკა, 6. ერობის სანიტარია, 7. ქალაქების სანიტარია, 8. ექიმები და სანიტარული გადასახადი, 9. ექიმები და სოფლის ჯარა ექიმები, 10. სიკვდილით დასჯა და ექიმები, 11. მოხსენება ადგილებიდან (ვთხოვთ ამხანაგებს თვისი შთაბეჭდილებანი კრებას გაუზიარონ), 12. სკოლის ექიმები, სასკოლო ჰიგიენა და ჰიგიენის სწავლება, 13. შავი სახადი (დაკვირვებანი), 14. სახადისაგან გადაცვლილ ამხანაგების ოჯახის უზრუნველყოფის საკითხი, 15. კავშირი და მეცნიერული მუშაობა, 16. კავშირი, თფილისის კავშირი და ფილიალები, 17. მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა და საწევრო გადასახადი, 18. პრეზიდიუმის არჩევნები.

✦ **ხონის ქუთაისის რკინის გზის** წესდება საუწყებოაშორისო კომისიის მიერ მიღებულ იქნა. წესდებას ამ დღეებში მთავრობა განიხილავს.

სპეკულიაცია რკინის გზაზე.

საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში შევა სამშაბათს ჩვენ პარლამენტში ნათქვამი გიორგი გვაზავას სიტყვები.

„სად ვცხოვრობთ, უფლებიან სახელმწიფოში თუ სადმე სახანოში"? მართლაც, ეს კითხვა ებადება დღეს ყველას. მიიხედ მოიხედეთ და დაინახავთ, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე ითელება ჩვენში მოქალაქეთა უფლება. ჩარკვიანის დაპატიმრების და ხონის ამბები ლაღადებენ ჩვენი გაბატონებული პარტიის თვითნებობას. მაგრამ განა მარტო ეს ორი მაგალითია ჩვენში შეუწყნარებელი თვითნებობისა?

მაგალითები ძალიან ბევრია: ყველას რომ თავი მოეყარო გოდრებში ჩაყარო და ის გოდრები ჩვენ სოც. დემოკრატებს აკიდო ზურგზე, სამ ნაბიჯსაც ვერ გადაადგამენ.

ოთხშაბათს რომ მოწამეთობა იყო, ხალხი ზღვასავით მიაწყდა ქუთაისის სადგურს, მიუხედავად იმისა სარწმუნოება და სალოცავები ცოტა არ იყოს კი არა ძალიან ეჯავრება ჩვენ მთავრობას.

არ ვიცით რა მიზეზით, ბილეთის ფასი თუმნამდე ასწიეს. მოგეხსენებათ, რომ მოწამეთა ქუთაისიდან რაღაც ორი ვერსის განძილზეა, ბილეთის ფასი აქ მანეთს არ უნდა ასცილდეს: პლაცკარტი არ არის; რიონამდი 8 ვერსის მანძილზე 1,50 კ. ეხლა რომელ მორალის და ჭკუა გონების კაცი იტყვის, რომ ქუთაისიდან მოწამეთამდე ბილეთი თუმანი უნდა ღირდეს. საინტერესოა ვიცოდეთ, მინისტრის განკარგულებით მოხდა ეს ფასის გადიდება თუ ადგილობრივი მოსამსახურეების სურვილით.

თუ ადგილობრივმა მოსამსახურეებმა ჩაიდინეს ეს ძარცვა გლეჯა, ისინი, რასაკვირველია, სასტიკად უნდა დაისაჯონ კანონის ძალით.

საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქესაც უფლება აქვს წავიდეს სადაც უნდა რკინის გზით და გადიხადოს დაწესებული ფასი. თქვენ კი მას გათკეცებულ ფასს ახდევინებთ და თუ ვერ გადიხადა შინაბრუნებთ, საშვალებას ართმევთ (ამ შემთხვევაში სარწმუნოებრივი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს) ან და თავისუფალ დღეს თავისუფლად გაისეირნოს მშვენიერი ბუნების კალთაზე და ნახოს მდუმარე მოწამე საქართველოს ძველი დიდებისა, მამულიშვილობისა და გმირობისა.

სად ნახულა სად გაგონილა ასეთი რამე?

ვაჭარმა, რომ ამას მაგვარი რამე ჩაიდინოს, ხომ სასტიკად დასჯით და სამართლიანიც იქნება.

რას იტყვით როცა ეს სახელმწიფო დაწესებულობაში ხდება?

ხაზინის გამდიდრება უნდოდათ ნეტავი ამ საშვალებით თუ სარწმუნოების მოსპობა?

მლოცველი.

პატარა ფელეტონი.

გზაზე.

ვის არ ესიამოვნება ამ მშვენიერ შემოდგომაზე სოფელს ეწვიოს, ვის არ უნდა, რომ ვაზის მტევნებს ხელი არშიყოთ მოუსვას და შუა ცეცხლთან, კერიაზე მიღებულ სიმინდის ტკაცა-ტკუცით გამოწვეულ მუსიკით დასტკბეს?

და მეც გავემართე იქით, სადაც ქალაქის ურიამული არ ისმის.

ავიკარ გუდა ნაბადი და ქუთაისის სადგურისკენ გავემართე.

მართლაც მშვენიერი დილა იყო... მაგრამ პოეტურ აღწერისთვის ძალა არ შემწევს და ისევ სჯობია ვსთქვა, რომ სადგურზე მივედი.

სადგურზე მისვლისთანავე, ბაქანზე გამოვედი, მატარებლის წასვლამდე, შემოდგომის მზის მზერა მსურდა—მაგრამ ამ დროს, ჩემს ყურთან დაიგრგვინა „მილიონერმა"

— მობრძანდით ზალაში.

უკაცრავათ, მილიონერმა კი არა მილიციონერმა, მაგრამ ეხლა ხომ სოფელში სიზმარს ასე ხსნიან—თუ მილიციონერი ნახო სიზმარში ან ფულს მოგცემს ვინმე და ან წაგართმევსო და მე—კი რომ ცხადლივ ვნახე და ჩემი ანგარიშით ცხადლივ ნახული სიზმარზე უფრო დასაჯერებელია.

— „შევ-რძანდი" ზალაში—ზალას სიფართე არ აკლია; მისს მოწყობილებას კი ორი დიდი სუფრა და ერთი დაზგა წარმოადგენს. დაზგაზე სამი ხონჩა სდგას: ერთზე აშმორებული პამიდორები აწყვია, მეორეზე კი ისეთი გამხმარი „კატლეტები", რომლებიც თვით პურიშკევიჩისათვის რომ თავში დაგერტყათ დარწმუნებული ვარ ებრაელთა სარწმუნოებას აღიარებდა და იეგოვას ილოცებდა, და მესამე კი არ ვიცი ოკრიბიდან ჩამოტანილ ყვითელ სიპი ქვის ნაჭრებით იყო მორთული, თუ „Съ вежій филе"-თი, როგორც ზედ ეწერა. ერთ ერთ მაგიდაზე საეკვო ფერის სუფრაა გადაფარებული და ზედ „лампа „чудо" სდგას. ლამპაზე გადაფარებული კისაია წინათ თეთრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეხლა შავ წინწკლებიანათ მოსჩანდა

— ეგე ხომ ყველამ ვიცით ერთობის მოტრფიალე სოციალისტ-ბუზანკელების ბრალია—სადაც დასხდებიან—კვალხაც დაჩენენ.

ზალაში შესვლისთანავე მაგიდას მოუჯექი, ჩემს პირდაპირ ორი ახალგაზდა ქალწული ისხდენ—ეტყობოდათ უბრალონი არ იყვენ—საფირჩხიის ელფერი ჰქონდათ.

— ვალოდია, ვალოდია! გვიყიდე, რადი ბოგა ბილეთი—და მათ უცბათ გამოეჭიმა წითელ-პაგონ-აქსელბანტიანი „ვალიფე" მილიციონერი.

— სლუშის—უპასუხა მილიციონერმა და „ჩესტი" აიღო.

მეც დავაკვირდი: დეზები აკლდა, თორემ კინაღამ შეცდომაში შევედი და ქუთაისის ჯანდარმები „Забираловъ"-ი და „Кривовзяткин"-ი გამახსენდა.

დაჰკრეს პირველი ზარი და მეც კასისაკენ გავემართე; მილიციონერი მივიდა კასასთან რიგს გარეთ, მე კი უკან მოვვხვდი. მას ბილეთი უკვე აღებული ჰქონდა, როდესაც მეორე ზარი დაჰკრეს და მე იძულებული შევიქენი უბილეთოთ მემგზავრა.

დავეწიე მილიციონერსა და ვკითხე რანაირათ მოახერხე ბილეთის აღებამეთქი. იგი დიდის სიამაყით მომიბრუნდა და მითხრა ლაკონიურათ:

— „Форму видалъ!

— Видал—მეთქი მეც უთხარი და მატარებლისაკენ გავემართე.

აიძრა მატარებელი და მეც ავყევი საფირჩხიის აღმართისაკენ.

ხალხი მატარებელს პანტასავით ეკიდა.

— ვაიმე დედა მოვკვდი, კაცო ამიშვი ფეხი—იძახის ერთი.

— კაცო მე რომ ფეხი აგიშვა ხომ ჩამოვარდი—უპასუხებს მეორე.

— კალათიან, ხურჯინიანებო ვაგონიდან გადმოდით—გაიძახის მილიციონერი.

— თქვენი ბილეთი—ისმის კონდუქტორის ხმა და ისეთი აურზაურია, რომ ყურთა სმენა აღარაა.

მაგრამ მგზავრები აქაც არ იშლიან პოლიტიკაზე საუბარს—„აქებენ და ადიდებენ ჩვენი სამშობლოს მესვეურებს". მართალი არ გეგონოს მკითხველო ერეკლე მეფე, რომ ასე ექოთ ამბობდენ და გამიგონია კიდეც, ფიცხი კაცი იყოო და დარწმუნებული ვარ საფლავშიაც გადაბრუნდებოდა.

ერთი საუბარი მეტად საყურადღებო იყო: ერთმა მოხუცმა გლეხმა, რომ ვერა გააწყო, ერთ მოსოციალისტე ბიჭს ასეთი სიტყვებით მიმართა: „ეჰე ძმობილო შენ ჯერ რა იცი, ჩვენში ერთი ჩიტი იცის ოდის თავიდან წამოფრინდება და ცისაკენ აღემართება ფრენით ამ დროს. თქმულია, თურმე იგი იძახის „ცას გავალ, ცას გავალ".

მაგრამ, როდესაც დარწმუნდება თავისი ფიქრის სიყალბეში ბრუნდება უკანვე ამ სიტყვებით „ტყუილ, ტყუილ, ტყუილია"ო, ეხ ნეტავ ეხლა ისინი ვინც ცას ეპოტინებიან, დარწმუნდებოდენ, თავიანთ სიყალბეში და სასწაულებზე ხელს აიღებდენო—ამოიოხრა მოხუცმა.

— მახლას!—ეიფიქრე მე.

სადგური კ. დაიძახა კონდუქტორმა, და მეც ჩამოვხტი ბაქანზე და სოფლისაკენ გავემართე.

სოფელსაც სულ სხვა ელფერი ადევს, გამოცვლილა მაგრამ ისე როგორც რუსები იტყვიან „не к. лучшему, а къ худшему."

— **ლევან ს. ყიფიანი.**

საქართველოს რესპუბლიკის ხაზინაგზი მოსამსახურეთა ცხოვრებიდან.

ის აუტანელი სიძვირე, რომელიც ხუთი წლის ომმა და ცხოვრების სხვა მიზეზებმა გამოიწვია, ყველასათვის ცხადია და ყოველ დარგს დაეტყო...

ამ შემთხვევაში მე მინდა მივაქცეო მკითხველის ყურადღება ხაზინის მოხელეების ცხოვრებას, ხაზინის მოხელეების ცხოვრება, მდგომარეობა და არსებობა, რომელიც მათ ბედმა თუ უბედობამ არგუნათ კალმით აუწერელია. ყველასათვის ცხადია, თუ როგორ აფასებს ჩვენი მთავრობა მოხელეების შრომას და სამსახურს. წარსულშიდაც და დღესაც სახ. დაწ. მოხელეები არაფრის მქონე არც ყოფილან და არც არიან. განა თვით პროფესიაც იმის მაჩვენებელი არ არის? განა ვინ იქნება ისეთი გულუბრყვილო, რომ თვეში 700—800 მან. შეაჩერდეს თუ კი მას რაიმე სხვა საშვალება აქვს. მაგრამ, როგორც ზევით მოგახსენეთ მოხელეები არაფრის მქონენი გარდა „ოცისა" არ არიან. ეს კარგათ იცის ჩვენმა მთავრობამ. როდესაც მოეხასიათებათ, მხოლოდ მაშინ ამოიდებენ წითელ „სუკნოს" ქვეშ მდებარე პროექტებს ჯამაგირების მომატების შესახებ და დაიწყებენ კამათს მათ ხოვრის მისაცემ უმნიშვნელო პროცენტებზე.

ისეთი გამწვავებული მდგომარეობა, როგორსაც დღეს მოხელეებში ადგილი აქვს, არასოდეს არ ყოფილა და მომავალში მოსალოდნელია კიდევ უარესი. ბევრი ხვეწნა, მუდარა, შეამდგომლობა, ხოვნა დაგვპირდება, რა გამოვიდა „როგორც" ჩავალთ თფილისში, მაშინვე თქვენი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს მთავრობას დაუსვამო, გვიპასუხებენ ოფიციალური წარმომადგენელები, მაგრამ გასცილდებიან თუ არა აჯამეთის ავარაკს, წარმომადგენელის შეპირება რჩება—„ხმათ მღალადებლის უდაბნოსა შინა". სრულებით, არავითარი, იოტის ოდენა ზრუნვა ჩვენს მთავრობას თავის დაწესებულებების მოხელეებზე არ ეტყობა. რომ ჰკითხოთ რატომ, გიპასუხებენ, „მოხელეები კონტრრევოლიუციონერები ხართ"-ო. და როდესაც ვეუბნებით „თუ საჭირო არა ვართ გაგვიშვით, შიმშილით ნუ გვხოცავთქო, გვიპასუხებენ „ეს სამშობლოს ღალატია"-ო. ერთი სიტყვით მოხელეები მთავრობას ბრმა იარაღათა ჰყავს მიჩნეული. მაგრამ ეს არც ასეა. „ცხვარი წყნარია, მაგრამ თუ გაცხარდა ძმარზედ უფრო ცხარეა"-ო ნათქვამია.

წარსულ თვეში ქ. ქუთაისი ზინაში, შესდგა დასავლ. ... ხაზინის ... ფერის ... ლობენ, რომ რამენაირათ ... შვილს დღის საზრდო ... ბედ-შავმა მოხელემ. თუ რომ ... დათ ნივთიერულობა, ყველაფ ... ჰყიდეს, არავითარი საშვალ ... არა აქვთ. ძრწის და კრთის, ... და „გაჩენის დღეს გმობს ... როდესაც სახლში მიდის ... არაფერი ეგულება, რადგან ... მის ფასი, რომელსაც ხაზინ ... ლე თვეში ღებულობს, ... ერთ კვირას იკმაროს ... კი აშკარა შიმშილი მოელის.

ერთი სიტყვით ყრილობა ... ვილი ტრაგიკული მდგ ... გამოარკვია ხაზინის მოხელეებ ... ერებაში დაიწერა ყრილობაზ ... ფერი ოქმი, რომელიც მთავრ ... გზავნა, ხაზინის მოხელეების ... მაინც მატერიალური მდგომ ... გაუმჯობესების შესახებ. მა ... ხე უბედურებას; თურმე საკ ... პალატა, როგორც აღმოსავ ... ქართველოს სახელმწ. დაწეს ... ხელეებმა გადმოგვცეს, წინ ... ყოფილა ჯამაგირების მ ... რადგან მათ უნდათ ჯერ გა ... ონ მიზეზი, თუ რა იწვევს ... სატარიფო პალატის ზოგიერ ... ვრების აზრი ასეთია, მას ... ვცემენ ზოგიერთი გაზეთები ... რამ უნდა იოქვას, რომ ... რები სატარიფო პალატისა ... ლიც ამას ლაპარაკობენ, ... ლები უნდა იყვნენ, ან და ... რზედ უმეცნიერესი. დახეთ ... მანის ლოდიკას: „ჯერ მიზ ... ვიკვლევთ, გვეუბნება გოლ ... ძმანი მათნი „შემდეგ ჯამაგ ... გიმატებთ" „პეტრეს მოსვ ... ვლეს ტყავი გააძვრესო" ... კი არ არის ნათქვამი.

ერთი სიტყვით, რომ მდგ ... ბა აუტანელია ეს ცხადზედ ... სია. სახელმწიფო დაწესებულ ... ერთს ადგილს მეტს იღებ ... ხელეები, მეორეს კი ნაკლ ... ყველაზედ მცირედს კი ... მოხელეები. დასასრულ მინდ ... შნო შემდეგი: ჩვენ ხაზინ ... ლეები ყველაზედ უფრო ... ებულნი ვართ, ეს ჩვენი ... ამაში ჩვენვე მიგვიძღვის ... ლობა, რადგან ყველაფერს ... უნდა და ჩვენ კი საღათას ... ვის მიგვიცია თავი. მომავალ ... ლობა, სრულიათ საქართველ ... სპუბლიკის ხაზინებში მოს ... თა წარმომადგენლებისა, ... სულ ახლო მომავალში უნ ... დგეს მთავრობის წინაშე დ ... დოს: „თუ ჩვენ ვართ საჭ ... ჰუბლიკისათვის, მოგვეცით ... ბის საშვალება, თუ არა და ... შვითქო" **ისაკოს თანა**

ქუთაისის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორის მ. ბალანჩივ ... დადებით სამუსიკო საზოგადოების გამგეობამ მიმიწვია სამუსიკ ... ლებლის ფორტეპიანოს პროფესორათ, სადაც ყოველდღიურად ... ლება ჩაწერა ჩემს კლასში.

კერძო გაკვეთილებს პირველ დაწყებით უმთავრეს შეთვისებამდის

ვაძლევ ჩემს ბინაზე. გოსპიტლის ქუჩა, სახლი როზუმოვსკის

ლეონიდ კნინა.

სტამბა **ნ. ფერაძის** და ამხ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა, გოკიელოვის სახლი.